№ 7

10 თებერვალი 1913 წ.

ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „ კ ლ დ ე“, იანვრიდან აღარ ეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

დღეს ქართველი საზოგადოება დღესასწაულობს ჩვენი სცენის ქურუმის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ოცდა ათი წლის სასცენო მოღვაწეობას

ჟურნალი „ კ ლ დ ე“ უერთდება საერთო ზეიმს და ულოცავს თავის მკითხველებს ამ დღესასწაულს

ქურ. კლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ჟურნალ კლდის დაკაზმული კომპლექტები 19'2 წლისა. ფასი ქალაქში. 1 მან. ქალაქ გარედ—1 მან. და 25 კ.

—

ყველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მისდით ჟურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

ვ. მესხიშვილის გამოსვლა „სამშობლოში“.—ეკ. გაბაშვილისა. მწვავე საკითხი.—დ. კახელისა. ქ. კულტ. მოუვარულთა საზოგადოება და სიტუვა. დ. კასრაძისა. სოფინის საკრედიტო ამხანაგობა. დ. ვაჩნაძესი. სოფლის საჭიროებანი.—ლ. დ—ესი. ნაგთის საქმე.—ალ.ნ—ძესი. ჭორმუდი.—რ.—გესი. „ხატისოვკა“.—ს.რუსების გადმოსახლება ამიურ-კავკასიაში.—მაგმაძესი. კორესპონდენტია.

ვლადიმერ მესხიშვილის გამოსვლა „სამშობლოში“

(ტკბილი მოგონება)

ორ კვირაზედ ადრე მთელმა თბილისმა იცოდა, რომ 22 იანვ. 1882 წ. საზაფხულო თეატრში წარმოადგენდნენ „სამშობლოს“, დავით ერისთვიშვილის მიერ ფრანგულიდგან გადმოკეთებულს პიესას და ყოველ წვრიმალს იმ წარმოდგენისას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ; გასაოცარ და დაუჯერებელ ზღაპრებს სთხზავდნენ, როგორც პიესის შინაარსზედ, ისე იმის მდიდრულად და შეუდარებლად დადგმაზედ.

მიხეილ პეტროვიჩი ბებუთოვი, პიესის რეჟისორად მოწვეული ავტორისაგან, საიმდღეისო გმირად გადაიქცა; იმისი ყოველთვის აღელვებული და ნერვოზიული სირბილი საზაფხულო თეატრში, თეატრიდგან გოლოვინის პროსპექტზედ საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა, ყველანი ისე შეჰყურებდნენ იმას, როგორც თილისმით სავსე ჯადოსანს, რომელიც ქართულ წარმოდგენას სასწაულთ მოქმედებად გადააქცევდა და სუყველანი გატაცებით იძენდნენ ბილეთს, რომ არ გამოჰკლებოდნენ ამ საოცნებო მოვლენას. „სამშობლო“ და მიხეილ პეტროვიჩი—სამშობლოს სულის ჩამდგმელი, მოწიწებით იხსენიებოდნენ ქალაქის ყოველ კუთხეში, ყოველ ოჯახში, ყოველ შეგნებულ ქართველის ბაასში. მხოლოდ არტისტებზედ, ამ პიესის ნამდვილად გამაცოცხლებელებზედ, ხმას არავინ იღებდა, თითქო იმათი დაფასება ხალხისთვის იყო დატოვებული.

აი, წარმოდგენის დღეც დადგა. საზაფხულო თეატრი პირამდეა გატენილი. ქართველი არისტოკრატია, მთელი ქართველი ინტელიგენცია, ჩინოვნიკობა და უდრო-უდროდ თეატრში მიმსვლელი, დღეს, გამოპრანჭული და აღელვებული, გაცილებით ადრე ზის თავის ალაგზედ. თეატრი სადღესასწაულოდ არის მორთული და განათებული. მუსიკა რაღაც სასიამოვნო მელოდიას უკრავს, მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებს, ყველა მოუთმენლად ელის ფარდის ახდას, ცმუკავს და ტოკავს.

მე სცენის პირდაპირ ზემო იარუსის ლოჟაში ვიჯექი ჩემის მახლობლებით და მთლად ვთრთოდი აღელვებული; მახლობელნი დამცინოდნენ: „განა არ იცი, არ იცნობ ქართულ თეატრს, ქართველ არტისტებს? ამათგან გასაკვირველს რას უნდა მოელოდე?!“ და თითონ კი მოელოდნენ გასაკვირველს და ღელავდნენ...

აი, ფარდაც აიხადა და მოლოდინი გადააჭარბა იმან, რაც ქართველებმა სცენაზე დავინახეთ: მდიდრული მოწყობილება, შესაფერი და მშვენივრად შეხამებული ტანთ საცმელი, მწყობრი და ილიუზიამდე მიღწეული სიმართლით შესრულება ყველასაგან თავისი ნაკისრი როლისა (რაც მანამდე თითქმის მიუწდომელ ოცნებად იყო აღიარებული ჩვენ სცენაზედ) და ბოლოს თვით გვირგვინი დღევანდელი წარმოდგენისა, ლევან ხიმშიაშვილის როლში, ლადო მესხიშვილი.

წინადაც მენახა მესხიშვილი სცენაზედ, გამეგონა იმისი მომჯადოებელი, გარმონიით სავსე ხმა, ხმა იშვიათი, თითქმის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ჩემის სმენისათვის (მაშინ ყრუ არ ვიყავი), მაგრამ დღეს ლადო სულ სხვა იყო! ის აღარ იყო აქტიორი, რომელიც სცდილობდა ხოლმე ზეპირად დასწავლილი როლი, ქართულ-რუსულის კილოთი გადაეცა ამხანაგისათვის, არა,—ის იყო მშვენიერი ვაჟკაცი, ქართულ ძველებულ ტანისამოსით გამოწყობილი, ქართულ ძვირფას იარაღით შესხმული მეომარი, რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრისაგან და რომელიც ამ დაცვის ასრულების ფიცს, მშვენიერის, უზაკველის, ყოველ გვარ აქცენტს აცილებულ ქართული ენით წარმოსთქვამდა.

დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციურის ხმით, რაინდულის გრაციით და შეუდარებელის გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზედ უარს, როდესაც ის თავის ქალის თხოვნით უბრუნებს წართმეულ ხმალსა: „არა, ვერ მივიღებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემ გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ, დიდებულო შაჰო!“ რა თავხედობა იყო, რა გამბედაობა ამ საქციელში! და რა გვარად იმოქმედა დროთა ბრუნვით დამუნჯებულ და ყოველგვარ საკუთარ აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზედ!

მე მზად ვიყავ გადავმხტარიყავ ლოჟიდგან და მუხლი მომეყარნა საოცნებო გმირის წინაშე, ასევე გრძნობდა უთუოდ მთელი საზოგადოება, რადგან ლევ. ხიმშიაშვილის სიტყვებს უზომო და შეუკავებელ ოვაციით მიეგება. რამდენიმე წამი ხიმშიაშვი-

ლი — მესხიშვილი თავჩაღუნული იდგა და მოწიწებით ელოდა ხალხის დამშვიდებას, რომ სალაპარაკო განეგრძო და კვლავ ყოველის თავისი ნაბიჯით, ყოველის თავისის გულიდგან ამოხეთქილის ნათქვამით და გულამდე ჩამწდომის ხავერდოვანის ხმით დეეპყრო, დეემორჩილებინა მსმენელი.

მართალია, ბებუთოვს ჩინებულად გაეწვრთნა არტისტები, სრულის განათლებულის და ბევრის მნახველის კაცის გემოვნებით დაედგა პიესა, მაგრამ რა იქნებოდა ხელოსნობით შემზადებული ძღვენი, თუ რომ ბუნებით მოძღვნილი სიმდიდრე, ბუნებრივი მარგალიტი, ბუნებით შექმნილი ხელოვანი მესხიშვილი არ შეხვედროდა!

ხელოვანმა მესხიშვილმა თავისის ბუნებრივის ნიჭით აღტურვილმა, — ასახელა რეჟისორი ბებუთოვი, ასახელა „სამშობლო“ და სამშობლოს გადმომკეთებელის სახელი უკვდავ ჰყო და ქართველი ხალხის გულში მკვიდრად დაბინავდა.

სამშობლოს პირველ წარმოდგენის მოგონების დროს, არ შემიძლიან არ აღვნიშნო კიდევ ერთი დიდი მომენტი, რომელიც იშვიათ წამად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ცხოვრებაში. ეს ის მომენტი იყო, როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებულნი გმირები დროშაზედ ფიცს სდებენ სამშობლოსთვის თავის განწირვაზედ. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულთ მოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზედ. მთელი საზოგადოება, პარტერის წინა რიგებიდგან დაწყობილი, გალერიის უკანასკნელ რიგამდე, ფეხზედ იდგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო მუხლიც მოედრიკა ეროვნული დროშის წინ, რომ თეატრი გაჭედილი არ ყოფილიყო და მუხლის მოსადრეკი ალაგი ჰქონოდა.

ამისთანა წამები იშვიათია და მას არ ივიწყებს შთამომავლობა და მას მიმნიჭებელთ ათაყვანებს.

ეკ. გაბაშვილისა.

მწვავე საკითხი

აშკარაა, რომ ქართველ ერს უკულმართ პირობებში უხდება წინსვლა დ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ ამ უკულმართობას უნდა შეეჯახოს მისი სვლა-ბედი.

როცა ჩემი უკანასკნელი წერილი *) დავამთავრე იმის მტკიცებით, რომ განსაკუთრებულ სამელიორაციო კრედიტის მოწყობა აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ-ჯერობით ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ხსენებული კრედიტი ძვირია და უკანასკნელი ნაბიჯია საერთო სამეურნეო ცხოვრების მოწყობაში, საცა ბევრი სხვა ელემენტალური საჭიროებანი ქართლ-კახეთისა დაკმაყოფილებული არ არის კრედიტით, ჩვენმა რედაქციამ მიიღო ცნობა, რომ ადგილობრივ მთავრობის წყლის გამგებლობას განზრახული აქვს, ამ მოკლე ხანში კანონის ძალით სრულიად აუკრძალოს ქართლ-კახეთის მცხოვრებ ხალხს **მტკვრისა, არაგვისა, ქსნისა, იორისა, ალაზნისა და სხვა** მდინარე წყლების სარწყავად ხმარება. ეს წყალი მთავრობას სდომებია აღმოსავლეთ კავკასიის უდაბნოების (მუღანი მილი) 300,000 დესეტინის მოსარწყავად, სადაც იგი აპირობს რუსეთიდან გადმოსახლებულთა ახალშენების მოწყობას. ქართლ-კახეთის დიდძალ ურწყავ მინდვრებს ველარ ეღირსება თავის სამშობლო მდინარეების საარწყავი წყალი... და მომავალში რა მოელის ამ პირობებში მოქცეულ ქართლ-კახეთის მეურნეობას — ძნელად წარმოსადგენია! დღეს ყველაფერი შეწირულია აგრესიულ პოლიტიკისთვის, ქართველ ხალხის წინააღმდეგ... ქართულ წყლებსაც კი პოლიტიკური მიმართულება ეძლევა... მათ უნდა მორწყონ და ააყვავონ ანორმალურისა კოლონიზაციო მიზნები ადგილობრივ მთავრობისა კავკასიაში!

წარმოიდგინეთ ეხლა რა მდგომარეობაში ვარდება დღევანდელი ის მწერალი, რომელიც სცდილობს ქართულ ეკონომიურ საკითხების გამოკვლევა-გაშუქებას.., თუ გუშინ საბუთებით ხელში ერთს ამტკიცებდა — დღეს, სრულიად მოულოდნელ, შემზარავ და უკულმართ გარეშე პოლიტიკოსების გამო — თავის კალმის წვერი უნდა შეაბრუნოს და სწორ გზებზედ სიარულის მაგივრად, ოღრო-ჩოღროში იაროს.

მაგრამ რა ვუყოთ? ასეთია ბედი ქართულ ეროვნულ ცხოვრების მიმდინარეობისა, რომელსაც ყოველთვის სწორ გზებზედ ხარიხები ეღობება...

და ჩვენც ძალა უნებურად, დროებით მაინც, სანამ ძალა არ შეგვწევს, უნდა სინამდვილეს ანგარიში გაუწიოთ და ამ ხარიხებს როგორმე მოუაროთ.

რასაკვირველია, **ხსენებულ პირობებში**, სამელიორაციო კრედიტის მოწყობა აღმოსავლეთ საქართველოშიაც ძალიან საჭირო და საჩქარო საქმეა. განსაკუთრებით კი იმ კრედიტის მოწყობა, რომე-

*) იხილე ჟურ. „კლდე“ №№ 4, 5.

ლიც **მინდვრების და მამულების მორწყვას დაეხმარება**. მეტადრე ამ ორი წლის განმავლობაში, —სანამ მთავრობის პროექტი საბოლოოდ დამტკიცდება, და სანამ ყოველ ქართლ-კახეთის მემამულეს აქვს კანონიერი უფლება ამ წყლებით ისარგებლოს. ამ საქმეს, როგორც კრედიტის, ისე იურიდიულ და პრაქტიკულ დახმარებით, უნდა გაუძღვნენ ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და საადგილ-მამულო კომისია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა, რომელთაც ხელთა აქვთ ცოდნა, ხალხი და შეძლებაც... სხვა სამელიორაციო საჭიროებათა დაკმაყოფილება, როგორც წინადაც ვამბობდი, აღმოსავლეთ საქართველოსთვის ჯერ არ არის ისე საჭირო და ჩვენი ძალ-ღონე და შეძლება უნდა უფრო სხვა საჭირო კრედიტის მოწყობას შევალიოთ. მე მოგახსენებთ **ფართო სამეურნეო*) კრედიტის ორგანიზაციაზედ, გრძელ ვადიანი სესხით**, და თუ მას მიუმატებთ საჭირო **სამელიორაციო კრედიტის მოწყობასაც** (**იმერეთში** —მორწყვა და ჭაობების დაშრობა, **ამერეთში**— მორწყვა) ჩვენ გვექნება მაშინ ნათელი წარმოდგენა მომავალ, ძალიან სასარგებლო და მძლავრ დაწესებულებისა— ე. ი. **სამეურნეო-სამელიორაციო კრედიტისა.**

„ეს კრედიტი,— როგორც სამართლიანად სწერდა გაზ. „იმერეთში“ ბ. გრ. გველესიანი, სწორედ იმით არის კარგი, რომ ის მამულის სამეურნეო-სატეხნიკო გაუმჯობესებას ემსახურება. დიდ ანომალიად უნდა ჩავთვალოთ, რომ მიწათ-მოქმედ ქვეყანაში მიწათ-მოქმედება და საზოგადოთ სასოფლო მეურნეობა, ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. უბრალო, მარტივი ლოღიკა იმას გვეუბნება, რომ კრედიტი ჯერ იმას ულნდა გაუჩინოთ, რაც ქვეყანას ასაზრდოებს, რაც ამ ქვეყნის მთავარი ძარღვია...“

მაგრამ მაინც ამ ძლიერ დაწესებულების დაარსებით სავსებით ვერ სწყდება ჩვენი ყოფნა არ ყოფნის მწვავე საკითხი, ქართველთა მიწის შესახებ. შეიძლება ამ კრედიტმა იგივე მიმართულება მიიღოს და მეურნეობას, დახმარების მაგივრად, ზიანიც მოუტანოს, როგორც მაგალითად ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების კრედიტმა მოგვიტანა, თუ სხვაფრივაც არ შეეწყო ხელი სოფლის გაძლიერებას. სამეურნეო კრედიტი გზის ჩვენებას თხოულობს, რომ მის ამღებს რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მოუტანოს; ამისათვის კი საჭიროა **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა** მუდმივი და ავტორიტეტული ხელმძღვანელობა. უხელმძღვანელო სამეურნეო კრედიტს გზა ებნევა და მისი ნაყოფიც შესამჩნევად მცირდება, ან სრულებითაც ჰქრება.

შესაძლებელია კიდევ, რომ სანამ პეტრე მოგვივა, პავლეს ტყავიც გააძრონ, ე. ი. თუ მივიღებთ მხედველობაში რა საუცხოვო ენერგიით ეტანება უცხო ხალხი ქართულ მიწა-წყალს, და რომ იგი მართლაც ფეხქვეშ გვეცლება დღითი-დღე,—ჩვენი მოწყობილი სამეურნეო კრედიტი დაგვიანებული გამოდგეს ბევრ ქართულ რაიონებისათვის. ამისათვის კი საჭიროა ქართულ მიწის მფლობელობას მფარველება აღმოუჩინოთ. ესენი იქნებიან **საადგილ-მამულო კომიტეტები**, რომელნიც ლეგალურად და კანონიერად ამ მფარველობას იკისრებენ მიწის ყიდვა-დაცვაში და მასთან ერთად ეცდებიან მოგვარებას და მოშორებას ათას დამაბრკოლებელ და ანორმალურ ფაქტორებისა დღევანდელ ჩვენი მიწის მფლობელობისა. საბუთად, თუ ეს კომიტეტები რამდენად საჭირო არის ჩვენთვის, მოვიყვან დამახასიათებელ ცნობას იმავე გაზ, „იმერეთში“ № 24 დაბეჭდილ საინტერესო წერილიდამ ბ. „ნ—ო.“ სი—„ბორჩალო“. ცნობილია, რომ ეს მხარე როდესღაც ქართველებით სავსე იყო...ეხლა იქ ქართველობა 5%-ს ძლივსღა შეადგენს... მაგრამ თავისუფალი ადგილები დასახლებისათვის საკმაოა... უმიწა-წყოდ დაჩაგრულ რაჭველობას ბევრჯელ სურდა გადასახლება ბორჩალოში, მაგრამ როგორც ამბობს ბ. ნ—ო. „რაჭველებმა ბორჩალოში გადასახლება ვერ მოახერხეს. ამის უმთავრესი მიზეზი უსახსრობა იყო. ვისაც გადასახლების სურვილი ჰქონდა რაჭაში, ყველა ხელ მოკლე გლეხი იყო... გზის ფულსაც კი ვერ შოულობდნენ, რომ წამოსულიყვნენ ადგილების დასათვალიერებლათ. მათ დამხმარე არავინ აღმოუჩნდაო“...

ამ რიგად ქართულ მიწა-წყლის ყიდვა-დაცვის საქმეს და მასთან ერთად ეროვნულ ცხოვრების ეკონომიურ მხარის გამაგრებას დღეს დღეისობით უნდა ჩაუდგნენ სათავეში **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, საადგილ-მამულო კომიტეტები და სამეურნეო-სამელიორაციო კრედიტი** მათ მიეშველებიან ჩვენი **სახალხო კოოპერატიული** დაწესებულებანიც და **მათი კავშირები.**

*) სხვათა შორის უმეტესი ნაწილი ჩვენი პრესისა „სასოფლო-სამეურნეო კრედიტს“ უწოდებს „სამელიორაციო კრედიტს“... მაგრამ ამნაირი შერევა ტერმინებისა სასურველი არ არის, რადგან, მათი მიმართულება მართალია საერთო მიზანს ემსახურება, მაგრამ შინაარსის მხრივ კი მათ შორის დიდი განსხვავებაა

ყველა ეს დაწესებულებანი, მწყობრად მოწყობილნი, შეასრულებენ იმ დიდებულ ეროვნულ მისიას მიწის დაცვას, გამაგრებას, აყვავებას, რომელიც დაუსახა დღეს წელში მოხრილ ქართველ ერს თანამედროვე ეპოქამ.

სადაც არა გვაქვს იგინი მოწყობილი—უნდა მოვაწყოთ, საცა გვაქვს—გავაძლიეროთ.

მაგალითად, იმერეთში არც სამეურნეო საზოგადოება და არც საადგილ-მ მულო კომიტეტი აქამდის არ არის მოწყობილი.

ქართლ-კახეთში, მართალია, ორივენი არსებობენ—მაგრამ ორივენივე მეტად სუსტები არიან.

არ ვიტყვი რომ უსახსრობისა გამო... უფრო იმიტომ, რომ იდეური მიმართულების უქონლობამ ხალხი ვერ შემოიკრიბა, მეტადრე მუშაობის სურვილით გამსჭვალული ამას უნდა მივაქციოთ ჩვენი უდიდესი ყურადღება... წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ეროვნული საქმეების მოწყობა, როგორც მაგალითად საერთო „სამეურნეო-სამელიორაციო ბანკის“ დაარსება, მეტათ გაგვიძნელდება, ფულიც რომ გვეშოვნოს. ამისათვის კი საჭიროა ეხლა ჩვენმა მოღვაწეებმა იმდენი არ სწერონ და ილაპარაკონ—რამდენიც იმუშაონ, მით უფრო რომ ამ ლაპარაკით და წერით მოწინააღმდეგენი სარგებლობენ... სამუშაო კი ბევრია...გამოსაკვლევია—რა შეძლების და ძალების პატრონები ვართ, საფუძვლიანი გამორკვევა ამ დაწესებულებათა გამაგრების პირობებისა, პროექტების შედგენა, მომუშავე ხალხის შემოკრება და სხვა ამ გვარი... მაგალითად, ჩვენ სულ ვოცნებობთ მითიურ 8 მილიონის თანხაზედ, რომელიც ვითომდა რჩება ქართველ თავად-აზნაურობას ვალდებულ გლეხების „ნადელების“ გამოსყიდვაში. პატივცემულმა ნ. თავდგირიძემ კიდეც „გაანაწილა“ 4 მილიონი! 3 მილიონი შეაქვს „ვკლადათ“ თავის კომერციულ ბანკში, — 1 მილიონამდე კი ამ ბანკის აქციების შესაძენად!! მაგრამ, სამწუხაროდ ფაქტიურად ამერ-იმერის მთელი თავად-აზნაურობა ძლივს 3 მილიონს მიიღებს. და თავგანწირული მუშაობა დაგვჭირდება, რომ აქედამ $^1/_2$ ან 1 მილიონი შეავაგროვოთ... ოცნებას თავი უნდა დავანებოთ, და მიწაზედ დავეშვათ.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა იმ ქართველ მოღვაწეებს, ვინც ეკონომიურ საკითხებით დაინტერესებულია, გამართონ რამდენიმე სერიოზული საერთო თათბირი ამ საკითხების გამოსარკვევად თბილისში ან ქუთაისში და შემდეგ დაუყონებლივ შეუდგნენ განხორციელებას.

დავით კახელი.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება

(ალექსანდრე ხახანაშვილის სახელისა)

პირველ თებერვალს ამა 1913 წლისა შესდგა პირველი საზოგადო კრება ახლად დაარსებული საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად აქვს შეისწავლოს ქართული კულტურის ყველა მხარეები და მოუყაროს თავი ამ დიდი საქმისათვის ყველა მსურველს და მცოდნეს, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებისა.

ამ საზოგადოებას განსაკუთრებით კულტურული მიზნები აქვს დასახული, რაც პირველ კრებაზედვე გამოირკვა იმ სიტყვებიდან, რომელნიც უძღვნეს ალ. ხახანაშვილს, როგორც საზოგადოების მისაბაძ მაგალითს გ. ჟორდანიამ, ნ. ჩიგოგიძემ, დ. კასრაძემ და სხვათა.

საზოგადოება ნაკლებ დაესწრო ამ საჯარო სხდომას, მაგრამ საზოგადოების დამაარსებელთა გულ-წრფელმა და მოაზრებულმა სიტყვებმა წრფელი სიხარული და წარმატების სურვილი გამოიწვიეს დამსწრეთა შორის.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ლექსებმა და ექსპრომპტებმაც მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებლებზედ, ასე რომ ქუჩიშვილს გაამეორებინეს კიდეც მისი გრძნობით სავსე ლექსი.

წაკითხული იყო აგრეთვე რამდენიმე დეპეშა სხვა და სხვა საზოგადოებისა და პირთაგან.

მაგრამ უკეთესად გაეცნობა მკითხველი ამ საზოგადოების პირველი კრების შინაარსს იმ სანიმუშო სიტყვიდან, რომელიც წაიკითხა ახალგაზრდა მწერალმა დ. კასრაძემ.

ალ. ს—ძე ხახანიშვილი.

ბატონებო!

როდესაც სამშობლ. ზღუდის ისედაც დამწუხრებულს სამრეკლოზე გაისმა საყოველთაო გლოვის ზარი, რომ ჩვენს მამულიშვილთა ისედაც მცირე რაზმს კიდევ ერთი თვალსაჩინო ბურჯი გამოეცალა **ალ. ს. ხახანაშვილის** სახითაო, მას ჩრდილოეთის სარტყელში გადახვეწილმა ჩვენმა მგოსანმა ი. ევდოშვილმა მეტად გრძნობიერი გამოძახილით უპასუხა. მისი სევდიანი სიმი, უკედ, მის გულის კლავიშით ამონაკვნესი მელოდია ისეთი სადა და მარტივი ნო-

ტებით არის მოქსოვილი, რომ ჩემს თავს ნებას მივცემ ეს საუცხოვო გამმა უცვლელად მოვიყვანო, მით უმეტეს, რომ მასში საოცარის სიცხოვლით გამოჰკრთის განსვენებული პროფესორის ფერმკრთალი ლანდი. აი ეს ნაღვლით შეფერადებული მელოდიაც:

ა ჩ რ დ ი ლ ი

„არის აჩრდილი, ვით დრუბელი სადამ-სადამოთ
ბინდში ამოდის, მწუხრს ამოსდევს, ბინდში მოსტურავს,
ხანა დიდინებს სევდიანათ, მაგრამ საამოო,
ხან კი სიმწარით თვალებიდამ ცრემლებსა სწურავს.
დაიარება ქუჩა-ქუჩა ქალაქის ბადში,
აქ, იქ, სუუველგან მას შეჰხვდებიო მოხეტიალეს,
მარტოთ-მარტოა, ვით ნადვილი გულის წიადში;
ვერ დაინახ ვთ მის თვალებში სიცილს და ალერსს.
მხოლოდ, თუ სადმე შეჰხვდა ნაზი, მშვენარი ეგვიალი,
გადაგდებული, გათელილი, ფურცელ ნასრესი,
მაშინ მოისმის მისი მწარე ამოძახილი,
მაშინ მოისმის მისი მწარე ამონაკვნესი!
რა სიუვარულით, რა სიამით ალვებს ეგვიალს ხელს,
ვინ იცის, იქნებ იმ დროს ჭეშდავს ვისიმე თვალებს,
რა სიუვარულით, რა ალერსით დასტქერის ეგვიალს,
ვინ იცის იქნებ იგონებს მას ტურფად გადაშლილს!

—

ეჰ, გიცნობ, ძმაო, გიცნობ ძმაო, მწუხრის აჩრდილო,
მახსოვს: ჭეშვაოდი, შეჰხვროდი ერთ დროს გაზაფხულს,
ახლა რადა ხარ? ულმობელად ჩამშვენარ-კაძრცვნილო,
მოგკლა ცხოვრებამ, მოსდა მის მკერდს მოსწედი სიუვარულს
ცრემლის და სისხლის ქარიშხალმა ამოვარდნილმა
შენც თან წაგიდო, გადაგტეორცნა, მიგთელ-მოგთელა,
იუვ ეგვიალი, წმინდა აზრის წმინდა ლამპარი,
და ეჰ, ჩასშვნი, შტარფლის ხელმა შენც ჩაგანელა!“

ვინც კი იცნობდა განსვენებულს პროფესორს, უეჭველია, ამ ლექსის ნაღვლიან აკორდში ნათლად დაინახავდა ასეთსავე ნაღვლიანს და ფერმკრთალ სახეს განსვენებულისას. მართლაც, რა იყო ხახანაშვილის ცხოვრება, თუ არა განდეგილობა, სულის სიობლე, რომ მილეულ სანთელსავით ებნეუტნა, ვიდრე მისი სულის უკანასკნელს ღვენთს საკუთარ ცეცხლის სიცხოვლე არ შეიდნობდა! ეჰ, ვინ იცის, მის დანაღვლიანებულს სადგომ ოთახს გარშემორტყმული წიგნების ყაფაზებითურთ ამეტყველება რომ შესძლებოდა, ვინ იცის მეთქი, ვიმეორებ, რაოდენი რამ მოეთხრო განსვენებულის ცხოვრებიდან, რომემალოც ერთს სიყარიბეში განვლო და საიდუმლოდ მიეფარა სივრცეთა უბეს! მაგრამ ეს იყო მისი ცხოვრების მეორე ნახევარიო, მეტყვით თქვენ: არა, ბატონებო! მისი ცხოვრების პირველი ნახევარიც ამ მეორეს არაფრით არ ჩამორჩებოდა: იგივე სიობლე, მარტოობა ყარიბი სულის, აი რა ერქმის მთელს მის ცხოვრების შინაარსსა! მაგრამ რომ ეს მარტო ცარიელა სიტყვები არ გეგონოსთ, ჩემს თავს ნებას მივცემ და მოკლედ გარბენილს მის ცხოვრებაზე შეგაჩერებთ:

აწ განსვენებული მხცოვანი პროფესორი ალ. ს. ხახანაშვილი დაიბადა 1866 წელს, ქ. გორში. თავის ბავშვობა გაატარა ამ პატარა ქალაქში: პირველად აქ აიდგა ფეხი, აქვე დაიწყო ტიტინი, სული და გული აქ გაეფურჩქნა, რის გამოც ასეთ რიგად შეუყვარდა იგი და სიკვდილის ჟამსაც კი, ვიდრე ფრჩხილის ოდენა იმედის სხივიც არ ჩაუქრა გამობრუნების შესახებ, იგი ოცნებას აშლევინებდა ფრთებს, რომ ორიოდ წლის შემდეგ დაბრუნდებოდა სამშობლოში და თავის სავანესაც ამ პატარა ქალაქში დაიდებდა, რომ მყუდროდ განეგრძო თავისი მეცნიერული შრომა. მაგრამ ვაი, რომ ეს ოცნება მხოლოდ ყრმობის სარკით გამომკრთალ ოცნებად დარჩა და ისევე ჩაჰქრა, როგორც ალიფლიფებული მისი ყარიბი სული.

პირველ-დაწყებითი სწავლა განსვენებულმა ალექსანდრე სოლომონისძემ, ანუ საშამ, როგორც ეძახდნენ ჩვეულებრივ, გორში მიიღო, სამოქალაქო სკოლაში. თუ რა შეადგენდა პატარა საშას მისწრაფებას ამ დროს, ამას გვიმტკიცებს მისი ცხოვრების ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც ეხლაც ბევრს ახსოვს გორში. ეს გახლავთ **წიგნების მოპარვა**: ცნობილია, რომ საშა პატარაობიდანვე წიგნის შეძენის მანიით იყო შეპყრობილი. სადაც კი წიგნს მოახელებდა, იმდენს ეცდებოდა, როგორმე შეეძინა. და აი, ერთხელ მან თავის მასწავლებლის ოთახში შენიშნა წიგნთსაცავი ძვირფასად დაკაზმული სქელ-კანიანი წიგნებით. საშა სულ იმის ნატვრაში იყო, ნეტავი ეს წიგნები როგორმე ხელში ჩამაგდებინაო. ეს აზრი მშობლებსაც გაუზიარა, მაგრამ მათ სიცილადაც არა ჰყოფნიდათ, ოღონდ როდესაც ბავშვი გაჭირვეულდა, მამამ იმითი ანუგეშა, რომ შემდეგ გიყიდი, როცა პროფესორი გამოხვალ, აბა ეხლა რად გეჭირვებაო. აბა რას წარმოიდგენდნენ, თუ ამ ირონიას, ქართლელი გალიციზმით რომ ვსთქვათ, სასმენელი ზარი ჩამოუვლიდა! ასე იყო თუ ისე, ბავშვი როგორც იყო, დააშოშმინეს. მაგრამ ნუ ბრძანებთ, ეს დამშვიდება მხოლოდ გარეგნული სახით ყოფილ იყო,

გულში კი თურმე ბავშვი სულ სხვა რამეს იძრახოდა: ერთს მშვენიერს დღეს, როცა მასწავლებელი გაიგულა, საშამ სარკმელის შუშები შეამტვირთა, გადაიპარა კაბინეტში, დაიზურგა წიგნები ⁄ თავიანთსა გადმოიტანა. რომ ქურდობა არ გამომჟღავნებულიყო, საშამ წიგნები ტახტის ქვეშ დამალა. რა თქმა უნდა, ქურდობის კვალს სულ ადვილად მიაგნებდნენ, რადგან შუშებისაგან ხელები დასისხლიანებოდა საშას. და მართლაც: ტირილით გამოუტყდა ყველაფერში, რასაც შესაფერი დატუქსვა მოჰყვა...

საშა უკვე მეორე კლასში იყო, როდესაც მშობლებმა გორის სამოქალაქო სასწავლებლიდან თბილისის პირველ გიმნაზიაში გადმოიყვანეს. აქ ბავშვი არა ჩვეულებრივს ნიჭს იჩენს, განსაკუთრებით ძველი თუ ახალი ენების სწავლაში და ისტორია—სიტყვიერებაში. საშას ბეჯითობა უკიდურესობამდინ მიდიოდა. ერთთავად წიგნთან განუყრელად ნახავდით მას ეზოში ხის ქვეშ, ანუ ოთახში გულ-აღმა წამოწოლილს. მშობლები ტირილით და ჩივილით არ უსვენებდნენ: შვილო, შენი სწავლა რა ოხრად გვინდა, თუ შენს თავს დაიჭირიანებო. მაგრამ საშა რას გაუგონებდა: იგი უკვე თავის სამშობლო სტიქიაში ჰგრძნობდა თავს და არავის ყურს არ ათხოვებდა, მე უკედ ვიცი რა უნდა გავაკეთო და როგორაო.

საინტერესოა საშას ამ დროინდელი ცხოვრებაც. ჯერ კიდევ გიმნაზიის პირველ კლასში იყო, რომ ჩვენი წარსულით დაინტერესდა იგი. ერთი სიტყვით, მან თითქოს ინსტიქტიურად ჩაენერგა დაბეჭდავებულ სამშობლოს სიყვარული. იმ დროს გიმნაზიაში ეროვნულს დიფერენციაციას დიდი ადგილი არა ჰქონდა. ჩვენმა ახალგაზრდობამ ხომ ტრადიციულად გადმოცემული რომანტიული შემეცნება ქართველობისა, მამათა ცოდვებისა გამო, ერთიანად დაჰკარგა და თითქმის თავისდა შეუმჩნევლად დაადგა გადაგვარების გზას. საბედნიეროდ, გიმნაზიაში გამეფებულმა სქოლასტიურმა დისციპლინამ ცალმხრით, ხოლო მეორეთი—სკოლის კედლებში გარუსების პოლიტიკის შეტანამ ერთგვარი კისტი წაჰკრა ჩვენს ახალგაზრდობას, რომლის სიმწვავე ყველაზე ადრე საშამ შეიგნო. მან უფრო, ადრე ვიდრე მისმა თანამოკლასე ქართველ ამხანაგებმა, შეიგნო თავისი ვინაობა, შეიგნო ჩვენი დაქვეითების მიზეზი და ადრე, ძალიან ადრე დააწყებინა ფიქრი გადმოგვარების საშუალების გამოსანახვად. აი, სხვათა შორის, მისმა ამხანაგმა პალიკო ყიფიანმა თავის მოგონებათა შორის, როგორ დაახასიათა იმ დროინდელი საშა: „ჩვენ პირველ კლასში ვიყავით, როდესაც ახალ საგნად შემოიტანეს ფონეტიკა. რუსი მასწავლებელი მეტად დამთხვეული ადამიანი იყო, რომელსაც არავითარი ჰუმანიური მეთოდი არა ჰქონდა სახელმძღვანელოდ, ყველას გვაფრთხობდა სისასტიკით და თვითონაც არა გაეგებოდა რა, რას გვიხსნიდა და რას არაო. საინტერესო იყო მოწაფეთა გამოკითხვის წესრიგიც: გამუდმებული ზეზე იდგა, ყველას თვალებში შემოგვყურებდა და მოულოდნელის იერიშით დაგვიყვირებდა: ну-ка, повтори! — გაიმეორებდი ⁄ ხუთი მზად იყო, არა და ერთი ჩამოისმებოდა ჟურნალში. შეწუხდა მთელი კლასი. ერთად-ერთი საშა იყო, რომელსაც შემთხვევა არ მიეცა ერთი მიეღო; ის ყველაზე ადრე მიხვდა საგნის ვითარებას და ყველასა გვშველიდა, რომ მასწავლებლის საკითხიდან გავნთავისუფლებულიყავით. მაგრამ ამითი არ გათავებულა საქმე: საშამ განიზრახა, რომ ის საგანი ქართველთა მონოპოლიად გამხდარიყო. და აი, თავის ამხანაგებიდან გამოარჩევს მხოლოდ ქართველებს, თავისთან მოუწოდებს სახლში, აუხსნის ყოველ დღე და ერთი კვირის შემდეგ მართლაც ქართველების მეტი ხუთის ღირსი არავინ გამოდგა და მასწავლებელიც ახლა ქართველებით იქებდა თავსა. მაშინ მივხვდითო, დაასრულა თავის მოგონების ეს პატარა ეპიზოდი ბ-ნმა ყიფიანმა, რომ ჩვენ... თურმე ქართველები ვიყავითო!“

ასეთის სახით წარსდგა პატარა საშა თავის ამხანაგების წინაშე, ასეთი ბელადობა გაუწია და სამშობლოს სიყვარულზე აფიქრებინა თვითეულს მათგანს.

აქედან მოყოლებული, იგი შეუკავებლად მიდის წინ, კლასში ბადალი არავინა ჰყავს, და მალე გიმნაზიას ოქროს მედლით გაათავებს 1884 წელს, ესე-იგი მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ სრული 18 წლისა არ იყო. ახალგაზრდა სტუდენტს აღარ დაუყოვნებია და პირდაპირ დეზი მოსკოვისაკენ გაჰკრა. აქ იწყობა მისი პირველი ცდა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსასვლელად. სწერს სხ. და სხ. ჟურნალ-გაზეთებში, სთარგმნის ფრანგულ-გერმანული ენებიდან და სულ მოკლე ხანში მიიპყრობს როგორც თვის პროფესორების ყურადღებას, ისე ჩვენი საზოგადოებისასაც; ასე რომ ჯერ კიდევ 1886 წელს, როდესაც საშა მეორე კურსზე იყო, ევერიაში ჩვენმა მხცოვანმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ ჩვენს სამწერლო ასპარეზზე ერთი თვალსაჩინო ვარსკვლავი

ამოშუქდა ალექსანდრე ხახანაშვილის სახით, რომელიც ბევრს ნათელს მოჰფენს ჩვენს წარსულის ბუნდოვანებასაო. მართლაც დაკვირვებულ ისტორიკოსის შორს განჭვრეტამ საუკეთესო აღმასრულებელი დაინახა ხახანაშვილში. 1888 წელს ოცდა ორი წლის ჭაბუკი ათავებს უნივერსიტეტს და თვის საყვარელ პროფესორის ილია ოქრომჭედლიშვილის კათედრას იჭერს მოსკოვის აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტში. ეს კათედრა მხცოვანმა პროფესორმა სიცოცხლითვე დაუთმო თავის ღირსეულს მოწაფეს, რომელშიაც იგი ჰხედავდა შრომის მოყვარე ახალგაზრდას. მართლაც ახალგაზრდა პროფესორი ახლა აქაც ამართლებს თავის საყვარელ მასწავლებლის იმედებს. ჩვენს ახალგაზრდობას მოევლინება არა როგორც პროფესორი არამედ როგორც ამხანაგი.

საზოგადოთ მეტად უწყინარი ადამიანი გახლდათ განსვენებული ალ. სოლომონის ძე. კრავსავით მშვიდი, შრომის მოყვარე, ასჯერ და ათასჯერ ამჯობინებდა, რომ სხვას მისთვის ენება მიეყენებინა, ვიდრე თავისმხრით ვისთვისმე რაიმე ეწყენინებინა მის იდეალის ერთად-ერთი მყუდრო ცხოვრება შეადგენდა. რა რიგი მარტივი, სადა და თავისებური წესრიგი ჰსუფევდა მის ოთახში! მას არ ჰქონდა ფუფუნებისადმი მისწრაფება, არც თუ ხმაურობა, სანახაობათა გაყოლება. თვით თეატრშიც კი იშვიათად დაიარებოდა, თუმცა სეზონის ბილეთი სამხატვრო თეატრიდან ყოველთვის ჰქონდა. სულ ორი ოთახი ჰქონდა დაჭერილი. ერთი მშვენივრად მორთული. მოდარბაზეთა მისაღებად, მეორე კიდევ სამუშაო კაბინეთი, რომლის მორთულობას ირგვლივ წიგნების ყაფაზები შეადგენდა, შუაში საწერი მაგი და თავის სკამითურთ და ერთიც ხავერდის სოფა, რომ დაღლილობის დროს დასასვენებლად წამოწოლილიყო ხოლმე. სადილობდა შინვე, თვეში 15 მანეთად. ერთი სიტყვით, მისი ცხოხრება მწირის ცხოვრებას შეადგენდა, ანუ ჩუმი ბერის ცხოვრებას, რომელიც თავისთვის სენაკში იკეტება და საღმრთო ექსტაზს მიცემული, ან ოცნებობს სულის ცხონებაზე, ან და წიგნებსა სთხზავს, სთარგმნის,, სწავლულობს... განსვენებულს არ უყვარდა ზედმეტი ხარჯი, არა თუ თავის მხრით, არამედ სხვებსაც არ გააღებინებდა ხოლმე. ამ მხრით საინტერესოა მისი მოგზაურობა ჩვენს მიყრუებულს დაბა-სოფლებში. მას, საზოგადოთ, უფლება ჰქონდა სოფლიდან მოეთხოვა,— თორმეტი ცხენოსანი ჰხლებოდა თან. მაგრამ მას არასოდეს ორის მეტი არ გაუყოლებია თანა, სოფელს ზედმეტი ხარჯი რად უნდა მივცეო. ხშირად მარტოც მიდიოდა, რის გამოც ერთხელ არაგვში კინაღამ დაიხრჩო ფონის უცოდინარობისა გამო.

საინტერესოა მისი მუშაობის სისტემაც. საუნივერსიტეტო საქმეს მორჩებოდა თუ არა, პირდაპირ სამუშაო კაბინეთს მიაშურებდა ხოლმე. მისი მუშაობა იქნობამდინ გრძელდებოდა, ვიდრე გაყრის დრო არ მოახლოვდებოდა, ესე იგი, როდესაც სანათს თავისი მნიშვნელობა ეკარგებოდა და განთიადის სხივებსაც ჯერ ვერ ეძლევნათ ელექტრონის სინათლისათვის. აი, მხოლოდ მაშინ მიჰლულავდა თვალს, მაშინ აგონდებოდა საწოლი. სწორედ ასეთი შრომის წყალობით უნდა აიხსნას, რომ განსვენებული ადრევე დასნეულდა, ფიზიკურად მთლად გატყდა, ღამით ძილი სანატრელი შეიქმნა მისთვის, მაგრამ ესეც არადა სჩნდა. მისი დიდი და დიდი დასვენება ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვეულება გახლდათ: გულაღმა დაწოლით წიგნების კითხვა! ამას ამერიკულ სისტემის დასვენებას უწოდებდა განსვენებული. წამოწვებოდა სოფაზე და სწრაფად მისდევდა ტომი-ტომსა. აი, ამ უსისტემო სისტემის წყალობით განსვენებულმა ალექსანდრე სოლომონისძემ შესძლო შეუძლებელის გაკეთება.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება.)

სოპინოს საკრედიტო ამხანაგობა

(Вѣст. Мел. Кред.)

1 მარიამობისთვეს 1907 წელს სოფ. სოპინოში, კიევის გუბერნიაში გლეხებმა გახსნეს საკრედიტო ამხანაგობა. სახელმწიფო ბანკმა მისცა დასაწყისში გრძელ ვადიან სესხად 2,000 მანეთი. ამ პატარა თანხით დაიწყო თავისი მოღვაწეობა სოპინის საკრედიტო ამხანაგობამ. ამორჩეულ გამგეობის წევრებმა და საბჭომ გადასწყვიტეს უსასყიდლოდ ემუშავნათ. პირველ დღიდამვე ამხანაგობამ სამაგა-

სახლი, რომელშიაც დაიწყო მოქმედება სოპინის ამხანაგობამ 1907 წ.

ლითოდ მოაწყო სესხის გაცემის ოპერაციები და მასთან ერთად განიზრახა დაუყონებლივ გაუწიოს დახმარება თავის წევრებს, სამეურნეო და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ დახმარებას ამხანაგობამ დიდი ყურადღება მიაქცია და მართლაც საუცხოოდ აასრულა თავისი განზრახვა. 5 წლის განმავლობაში:

ამხანაგობამ მოაწყო **სასოფლო სამეურნეო მანქანების საწყობი**, სადაც ჰყიდდნენ — სამეურნეო მანქანებს, პურის საუკეთესო თესლეულობას, პატივსა, რკინეულობასა, ცემენტსა, კირსა, კრამიტსა, აგურსა, და სხვა და სხვა სოფლის საამშენებლო მასალებსა.

სოპინის სასოფლო-სამეურნეო მანქანების, პატივის და თესლეულობის საწყობი.

გაუწია წევრებს დახმარება **შუამავლობით მიწის ყიდვაში და იჯარით აღებაში.**

მოაწყო შუამავლობა **წევრების პროდუქტების გასასაღებლად.** ასაღებს წევრების პურს, რისთვისაც ააშენა ხორბლის შესანახი საწყობი, ჰყიდის წევრების მიერ მოტანილ საშაქრე ჭარხალს და სხვა.



ხორბლის შესანახი საწყობი.

აგრეთვე დააარსა წევრთათვის **საქსოვი სახელოსნო, მოაწყო საჩვენებელი ბაღები, ბოსტნები, სამაგალითო ფრინველთა მოშენება, და მეტეოროლოგიური სადგური.**

მასთან ერთად ზამთარში თავის წევრებს დროგამოშვებით უმართავს **ლექციებს სამეურნეო და საკოოპერაციო საკითხებზედ, ბუნდოვან სურათებით.**

ამ სამაგალითო და გონივრულად მოწყობილ ამხანაგობის მუშაობამ დიდი სახელი მოუხვეჭა სოპინის საგლეხო ბანკს და მრავალი ხალხიც მიიზიდა. 1907 წ. ითვლებოდა მარტო 147 წევრი— 1912 წ. ამხანაგობაში შედიოდა 1836 წევრი!

წევრების მიერ შესანახად შემოტანილი ფული 1912 წელს უდრიდა 149,258 მ. საკუთარი თანხები 3,400 მ., % და მოგება 1912 წელს ადიოდა 12,941 მანეთამდის! და ამხანაგობის ბალანსი 281,602. სახელმწიფო ბანკმაც და მთავრობამაც კაი დახმარება გაუწია სოპინის ბანკს და მისცა სესხად სხვა და სხვა დროს 38,600 მანეთი. მაგრამ ეს დახმარება აღმოუჩინეს ამხანაგობას მაშინ, როცა დაინახეს სამაგალითო მოღვაწეობა ამხანაგების მესვეურებისა. ამ რიგად, მოყვანილ ცნობებიდამ დ

ოთახი, სადაც აწარმოებენ ეგვიდა (ოპერაციებს) საქმეებს სოპინის ამხანაგობაში.

ციფრებიდამ ნათლად გვეხატება თვალ წინ რა შეუძლიან გააკეთოს საკრედიტო ამხანაგობამ სოფლად და რა ნაყოფიც გამოიტანოს 5 წლის მოღვაწეობის განმავლობაში. დღევანდელი სოპინის ბანკის წევრები—უკრაინელი გლეხები, ამბობენ, „სოპინის საქმემ ზურგი გაგვიმაგრაო, ჩვენ მე-



საკუთარი შენობა სოპინის ამხანაგობისა, აშენებული 1911 წ.

ურნეობას მყვლეფავი ჩარჩები მოაშორა, ქონებრივად ხელი შეგვიწყო, ბნელ ცხოვრებაში სინათლის შუქი შემოიტანა და იმედები გაგვიღვიძა ახალ და კეთილ მომავლისაო“.

დ. ვაჩნაძე.

სოფლის საჭიროებანი

სხვა საკითხთა შორის ჩვენს მეურნეობაში, დიდი ადგილი უნდა დაეთმოს სამელიორაციო საკითხსაც. თბილისის გუბერნიაში მელიორაცია უმთავრესად უნდა გამოიხატოს **სარწყავ არხების გაყვანაში**, რომელნიც გარდაჰქმნიან ღარიბ, შემოუსავლიან მიწებს — ძვირფას ადგილებად.

რამდენად მომწიფებულია ეს საკითხი ამიერ კავკასიაში, საცა წყალი ცოტაა და ჰავაც მშრალი, სჩანს იმ ცვლილებიდან მუღანის ველში, საცა დესეტინა მიწა წინად იძლეოდა იჯარით თითო აბაზად და დღეს კი, სარწყავი არხების გაყვანის შემდეგ, ქირავდება არა ნაკლებ 200—250 მანეთისა. სულ 6—7 წ. განმავლობაში, სარწყავად გადიქცა 10,000 დესეტინამდე მიწა.

ამ საქმის დიდმნიშვნელობის შეგნება თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენს საზოგადოებაში და გლეხობაშიაც.

ისტორიას თუ მივმართეთ, დავინახავთ, რომ ეს საქმე საქართველოში მეტად ფართოდ იყო დაყენებული. კვალი დიდი და პატარა სარწყავი არხებისა დღესაც ემჩნევა სხვა და სხვა კუთხეს. არაგვის ხეობაში, მაგ., საცა ეგრედ წოდებული მუხრანის არხია გაჭიმული ათი ვერსის სიგრძეზმდე; შემდეგ, სოფ. ჟინვანიდან სოფელ წიწამურზედ თბილისამდის მოდიოდა ეგრედ წოდებული თამარის არხი. კახეთშიაც ბევრგან ემჩნევა კვალი სარწყავი არხისა, რომელიც გომბორის კალთებით გადადიოდა შირაქის მნიდვრებში; და სხვა მრავალი ამისთანა არხი, რუ და ნაკადი, დარჩენილი ჩვენი ქვეყნის ბევრს კუთხეში.

შემდეგ, რაკი ტყეები იჩეხებოდა, მდინარე წყალი კლებულობდა და ამასთან სარწყავი მიწის სივრცეც. დღეს, მცირეოდენი გამონაკლისით, თბილისის გუბერნიის ველმინდორი უნდა ურწყავად ჩაითვალოს.

ჩვენი ჰავის ბუნებრივი სიმშრალე წინ აყენებს აუცილებლად ხელოვნურ სარწყავების გამართვას. ეს აუცილებლობა, სხვათა შორის, მშვენივრად შეუგნიათ სოფ. მისაქციელის გლეხებს, რომელნიც სცდილობენ არხის გამოყვანას არაგვიდან, 600 დესეტინის მოსარწყავად. მათ მოიწვიეს ამ საქმისათვის ინჟინერი პ. გ. მამრაძე, რომელმაც შეადგინა შესაფერი პროექტი. ახლა საქმე გაფართოვდა: დასახელებულ გლეხკაცთ შეუერთდნენ გლეხები სოფ. ნაოზასი, ლამისა, აღდგომელასი და ადგილობრივი მემამულენი. დამატებითი პლანის შესამუშავებლად გაემგზავრნენ არაგვზედ ინჟინერი მამრაძე და ლ. ნ. დიასამიძე. სივრცე ახალის სარწყავი მიწებისა აღწევს ახლა 2,000 დესეტინას. აგრეთვე მოგვდის ახალ ახალი თხოვნები სხვადასხვა სოფლებიდან, რომ ისინიც შეუერთდებიან საზოგადოებას და მათი მიწებიც მოაქციონ სარწყავ არხების რაიონში.

გარდა მიწების რწყვისა, ამ არხებზედ აპირებენ 2—3 წისქვილის გამართვასაც.

განსაკუთრებულ თვისებას ამ საქმისას ის წარმოადგენს, რომ გლეხებს მშვენივრად შეუგნიათ მიზნის სიდიადე და **თავის თავზედ იღებენ უმეტეს ნაწილს მიწის საქმეებისას**, რის შედეგიც არის დიდი ეკონომია და საჭირო ფული შეადგენს მხოლოდ 20-30% იმ ფასისას, რაც ეღირება მთელი არხის გაყვანა.

საჭიროა ამასთან, რომ მემამულეებმაც გამოიღონ შესაფერი წვლილი და ამით ხელი შეუწყონ ფრიად მარგებელი საქმის წინ წაწევას.. მით უფრო რომ საადგილ-მამულო კომისიამ მიიღო რა მხედველობაში დიდი მნიშვნელობა ამ საქმისა თანამედროვე პირობებში, უკვე გაიღო დამატებითი პლანისათვის 400 მანეთი.

მოსალოდნელია, რომ ამ გაზაფხულზევე დაიწყება მუშაობა და ახლო მომავალში ასრულდება ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი ხნის ნატვრა.

ადგილობრივ გამოკითხვით გამოირკვა, რომ მცხოვრებნი ვერ სარგებლობენ თბილისთან სიახლოვით მარტო იმიტომ, რომ უწყლოობისა გამო ვერ მოჰყავთ ვერც ბოსტნეული, ვერც ხეხილი. მათი სიტყვით, ყველა დარგული ხე და ნამყენი ხმება უწყლოობით და საშველი არა აქვთ რა. ეხლა თუ წყალი გავა, აპირებენ ბოსტნების და ბაღების გაჩენას, რაც დიდ შეღავათს მოუტანს მთელ რაიონს.

საეროდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ის შეგნებული და მიზან შეწონილი მსჯელობა და მოქმედება, რომლითაც აქაური გლეხობა ეკიდება

თავის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. *)

ლ. დ.

ნავთის საქმე

ასეთი სიძვირე ნავთისა (керосинъ), როგორც დღესაა ბაქოში, აქ არავის ახსოვს. — „ძალა ჩვენს ხელშია, ჩვენა ვართ აქაური ბირჟის ბატონ-პატრონები“-ო თავხედათ გაიძახიან ბაქოელი მილიონების პატრონები, და მართლაც, მათ ხელშია აქაური ბირჟის ბედ-იღბალი და ბირჟაზე კი დამყარებულია წვრილ მრეწველთა ეოფნა არ ეოფნა.

სიმდიდრისათვის გაონავრებული და გასუნაგებული ადამიანი რომ თავის ქერქში არ დადგება, ეს საანბანო ჭეშმარიტებაა. და არც ბაქოს კაპიტალისტები ეტევიან თავიანთ ქერქში. იბრძვიან. იღწვიან, ათასნაირ კომერციულ ხრიკებს ხმარობენ, ათასნაირ კომბინაციებს მართავენ, რომ ახალი მილიონებით აავსონ ბანკები. და აი კიდევ ერთი კომერციული ხრიკი, რის წყალობითაც თუ ამ ექვსი თვის წინად ბაქოში ნავთი ღირდა 44 კაპ. ფუთი დღესა ღირს 88 ბაპ.

ამას წინად აქ დაარსდა სინდიკატი, რომელსაც შეადგენს 4-5 ადგილობრივი კაპიტალისტი. ეოველივე ასეთი კომერციული ხრიკი ბაქოში ფარულად კეთდება, იგი დიდი საიდუმლოებით არის მოცული და სინდიკატის დაარსებაც არავინ იცოდა. ამ 4-5-მა კაპიტალისტმა მთელი ბაქო რაიონებად დაიყვეს და რამდენიმე დღის განმავლობაში ხელში ჩაიგდეს ეველა ნავთის სახლები ქარხანა, [1]) რომელსაც ტოტად თუ ბეგრად მათი განძრახული საქმის კონკურენტია შეეძლო. ამ დროს ბირჟაზე ნავთი ღირდა 42-44 კაპ. ფუთი. სინდიკატის წარმომადგენელები კი ნავთის გამომხდელ მექარხნეებს სამის წლით პირობის წერილებით შეეკვრნენ, რომ ამ ხანში რამდენიც უნდა გამოესადაო ნავთი, არა ჭქონდეთ უფლება კერძოთ გაეიდვინა, — უნდა ჩაებარებინათ მათთვის 45-46 კაპ. ფუთი, რისთვისაც წინდაწინ დაურიგდა მათ მილიონები. როდესაც ამნაირად მოაწყეს საქმე და აუარებელი ნავთი ხელში ჩაიგდეს, მაშინ გამოცხადდა სინდიკატის დაარსება, დაჭრილეს ბირჟას და დაეპატრონნენ კიდეც მას. გაიგეს თუ არა ეს ძოტეუეებულმა, მეხეში გაბმულებმა ნავთის გამომხდელ მექარხნეებმა, თავში ხელს იტემლნენ, მაგრამ გვიან და იეო; იგინი ხელ-ფეხ შეკრულნი ალმოჩნდნენ პირობის წერილებში მოხსენებული აუარებელი ჯარიმებით, თუ დაარღვევდნენ პირობის რომელიმე მუხლს.

როგორც კი დაეპატრონა სინდიკატი ბირჟას, მის ბიულეტენებში გაჩრა ის ნაწილი, სადაც ეოველ დღე იწერებოდა ნავთის კოტირეოვკა.

და ან რა საკვირველია, რომ ასე მოხდარიეო: ბირჟის კომიტეტის მესვეურნი იმ კაპიტალისტების წარმომადგენელები არიან, რომელნიც შეადგენენ დღევანდელ სინდიკატს, ე. ი. როჩილდი, ნობელი, ლიანოზოვი და სხვა. რა თქმა უნდა უპირველეს საჭიროებას წარმოადგენდა მათთვის ბირჟის ბიულეტენის გადახალისება, გადაგვარება. ან რა საჭირო იეო ბირჟაზე ნავთის კოტირეოვკის ნაწილი, რისთვის უნდა ეჩხირებოდეს რუსეთში მცხოვრებელს, რომ მათ ქვეყანაში ამოსული ნავთი სადგარ გარედ ღირს 42-44 კაპ. ფუთი და აქ, შინ-კი 88 კაპ.

ამნაირად ბაქოს კაპიტალისტები შინაურს ცხრა ტეკვს აძრობენ და გარეულს კი ფუფუნებაში ამეოფებენ; მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ცხრა ტეკვი მარტო დარიბს და მუშა კაცსა სძვრება, მდიდარი და ეოტა შეძლებული კი უვნებლადა რჩება.

არსებობს სინდიკატები: ქვის ნახშირზე, რკინაზე, სპიჩკაზე, საპონზე, შაქარზე და სხვა ათასნაირ საგნებზე, რომელზედაც ნაკლებად არ არის აწეული ფასები, მაგრამ ეს ისეთი საგნებია, რომელიც ეველა კლასის ინტერესებს ეხება, იგი ეველასათვის საჭიროა, მას ეველა ეიდეულობს განურჩევლად, დარიბია თუ მდიდარი და სინდიკატებისაგან დადებულ ჯარიმას იხდის ორივე მხარე-მდიდარიც და დარიბიც, მხოლოდ ნავთის სინდიკატის ჯარიმას კი ეოვრო დარიბი იხდის, რადგან დღევანდელ პირობებში არამც თუ მდიდარი, არამედ შეათასა კლასი, ებრალო ვაჭარიც კი დიდი ხანია თავს ანებებს ნავთს და მიმართავს ელექტრონულ განათებას. მაგრამ დარიბი კაცისთვის კი თავში სანცელი ისევ ნავთია. ვერ შესწვდება ელექტრონს და ისევ 10-15 კაპ. იშოვნის, რომ იეიდოს 1-2 გირვანქა ნავთი და ვინ იცის რამდენი კვნესა—ვაებით შეძენილი მანეთებისაგან უნდა

[1]) მაზუთიდან იხდება ნავთი. ამაზედ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.—ა. ნ—ძე.

*) ამ საყურადღებო წერილს მით უფრო სიამოვნებით უთმობთ ადგილს, რომ, როგორც რედაქციამ მიიღო ცნობები, მთავრობა აპირობს მტკვრისა, არაგვის, ალაზნის ქსნის და სხვა მდინარე წყლების შეკვრას, რადგან მთელი ეს წყალი სჭირდება მუღანის ველის მოსარწყავად, რისთვისაც უკვე გადაუდვია განსაკუთრებული თანხა. ეს გარდაწყვეტილება საშინელს საფრთხეს უმზადებს ჩვენს ქვეყანას და დროით უნდა მივიღოთ რაიმე ზომები.

შესდგეს ის მილიონები, რომელნიც ავსებენ ამ 4-5 კაცის გაუმაძღარ ჯიბეს.

ასე ავრცელებენ თავიანთ მანიშნულიანებს რუსეთის მცხოვრებლებზედ ეს გაუმაძღარი სვავები. და კიდევ კარგი თუ მარტო 100%-თ ნავთის ფასის აწევით დაკმაყოფილდნენ. რომ დაუდეგრობენ და ამით არა კმაყოფილდებიან, ეს ნათლად სჩანს იქიდან, რომ მოსინდიკატე კაპიტალისტებმა ამ რამდენიმე დღის წინად ბირჟაზე თავიანთ ნავთის სამრეწველოს აუარებელი ახალი აქციები გამოუშვეს, ალბად რაღაც უსაშინელეს რამეს აპირობენ, რომ საბრალო დარიბს უფრო მაგრად მოჭიდონ თავისი კლანჭები და უფრო მოხერხებული ობობასავით სწოვონ მათ წვეთ-წვეთი სისხლი.

შეიძლება თუ არა სინდიკატის ადვილ-წარსნილი თავხედობის ალაგვმა, ამაზედ შემდეგს წერილში მოვიდა-პარაკებთ.

ალ. ნ—ძე.

ჰომრული

როგორც ვიცით, ირლანდია დასავლეთი კუნძულია ინგლისის „შეერთებული სამეფოსი“. ერთ დროს იგი ცალკე სახელმწიფოს შეადგენდა, მაგრამ ინგლისმა სხვა და სხვა დროს ნელა-ნელა შემოიერთა იგი, ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელი ირლანდია, ბევრი პროვინცია ამოსწვა, ხალხი ამოჟლიტა და მისი მიწები ინგლისელ კოლონისტებს დაურიგა. ყველა ამის მიუხედავად, ირლანდიას თავისი პარლამენტი შერჩა და მხოლოდ 1801 წ. 1 იანვარს საბოლოოდ მოუსპეს ირლანდიას თავისუფლება, ეგრედ წოდებულ „უნიით“.

აი, აქედან იწყება დაუცხრომელი ბრძოლა ირლანდიელებისა თავისუფლებისათვის, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა გარკვეულ პროგრამაში, ეგრედ წოდებულ „ჰომრულში“, ანუ როგორც ეხლა შიღებულია საერთა შორისა ტერმინოლოგიით— ავტონომიაში.

თუ წინად, უმთავრესად მე-XVIII და იმის წინა საუკუნოებში ბრძოლა ინგლისსა და ირლანდიას შორის სწარმოებდა ეროვნულ და სარწმუნოებრივ საფუძველზე, მეცხრამეტე საუკუნეში უდიდესი ადგილი დაეთმო აგრარულს ბრძოლას, ეკონომიურს, რადგან ინგლისმა უტიფრად გამოაცალა ფეხქვეშიდან ნიადაგი ადგილობრივ მცხოვრებთ, და თითქმის მთელი ტერიტორია გადასცა ინგლისელ ლორდებს და მათს ნათესავებს. სისტემატიურად სპობდა და ჰყრიდა ირლანდიელებს ადგილიდან, ან სხვა ქვეყნებში ან სჭყლეტავდა პატარა ფარგალში, საიდანაც ნებას არ აძლევდნენ გამოსვლისას. ირლანდიელებს უკრძალავდნენ მიწის ყიდვას, რაიმე ხელობის შესწავლას და მხოლოდ ტვირთის მზიდავად, ან უბრალო მუშად თუ შეეძლოთ ყოფნა.

ამავე დროს შიდა ინგლისიდან ასახლებდნენ ირლანდიაში ინგლისელ მრეწველებს; სისასტიკით გამოჩენილ სალდათებს და აფიცრებს აძლევდნენ საუკეთესო მიწებს და ყოველგვარ შეღავათს, რომ უარესად დაეჩაგრათ მცხოვრებნი და თვითონ გაკეთებულიყვნენ, რომ ძალად ამოეფხვრათ ირლანდიელთა ეროვნება და აეთქვიფათ ინგლისელთა „კულტურაში“.

მაგრამ ეს სასტიკი ზომები ვერ აღწევდნენ საწადელს და ირლანდია დღითი-დღე უფრო მედგრად თხოულობდა სამართალს და საკუთარს უფლებას. აგრარულ ნიადაგზედ გგაუთავებელი ბრძოლა იყო ლენდლორდების (დიდი მიწების პატრონების) და ირლანდიელთა შორის, რომელსაც მოსდევდა სისხლის ღვრა და ცეცხლით ამობუგვა მრავალი მემამულესი და მათი მოურავებისა. მთავრობა ვეღარ უწევდა მფარველობას თავის საყვარელ ინგლისელებს ირლანდიაში, რადგან მთელი ხალხი მათ წინააღმდეგი იყო და დათმობის გზას დაადგა.

ასეთი განცალკევებული და უსისტემო ბრძოლა XIX საუკუნის მეოცე წლებში გადაიქცა გარკვეულად გამოხატულ მოთხოვნილებად, რომლის გარშემო შეიკრიბა მთელი პარტია ო'კონნელის მეთაურობით. ეს პარტია ითხოვდა უნიის დარღვევას და ირლანდიის თვითმართველობის გამოცხადებას, ე. ი. პოლიტიკურს თავისუფლებას; თუმცა სარჩულად ამ მოთხოვნას ედვა სოციალური რეფორმა მიწის საჭიროებისა. ო'კონნელი დაატუსაღეს.

შემდეგში ინგლისმა ზოგიერთი შესამსუბუქებელი რეფორმა შეიტანა ირლანდიაში, მაგრამ მთელ ერს ამით ვერ დააკმაყოფილებდნენ და ხელახლა იწყობა ეროვნულ ძალთა შემოკრება ერთი მიზნის გარშემო, რამაც ნამეტანის ძალით იჩინა თავი 1845—6 წ. შიმშილობის შემდეგ, როცა „ახალგაზრდა ირლანდიამ“ კავშირი დიიჭირა საფრანგეთის „დროებით მთავრობასთან“ (1848 წ).

ინგლისის პარლამენტმა სასტიკი ზომები მი-

ილო ახალი პარტიის წინააღმდეგ და საშინლად დაამარცხა და გასრისა მეამბოხენი.

ეს დამარცხება იმითაც აიხსნება, რომ ინგლისი მეტად გაამძვინა და შეაშინა „ახალი ირლანდიის“ რესპუბლიკანობამ და საფრანგეთთან კავშირის დაჭერამ.

მაგრამ დამარცხებამ არ მოუსპო სურვილი თავისუფლებისა ირლანდიელთ, რაკი შევიწროებული მდგომარეობა არაფრით იცვლებოდა; მიწა ისეთივე ძვირი საშოვნელი იყო, როგორც წინად და ირლანდია კი მხოლოდ მიწათ-მოქმედებაში პოულობს საცხოვრებელ სახსარს.

ამ ნიადაგზე გაჩნდა ორი პარტია. პირველი პოლიტიკური—„პარტია ჰომრულისა“, რომელიც იბრძოდა ეროვნული ავტონომიისათვის და მეორე აგრარული, ანუ სოციალური პარტია, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „აგრარული ლიგა“, რომლის უმთავრესი მიზანი იყო საადგილ-მამულო საკითხების გადაწყვეტა, სახელდობრ: 1) ხანგრძლივი იჯარა (fixity of tenury), რადგან იქამდე ირლანდიელს ნება არა ჰქონდა გრძელი ვადით იჯარის აღება და იმ ინგლისელსაც, რომელიც გაბედავდა მიცემას, კანონი სჯიდა. 2) მიწის ყიდვის თავისუფლება (free sale), რაკი ირლანდიელებს, როგორც ეხლა ებრაელებს რუსეთში, უფლება არა ჰქონდათ მიწის შეძენისა. თავის საკუთარი მიწის (რომელიც ინგლისელებმა ძალით წაართვეს) შესყიდვის ნებაც არა ჰქონდათ. 3) სამართლიანი რენტა (fair rent). ეს უკანასკნელი მოთხოვნა იქიდგან წარმოსდგა, რომ მდიდარი ლორდები, რომელთაც თვით ინგლისში დიდ ძალი მამული ჰქონდათ, ხელსაც არ ანძრევდნენ ირლანდიის მამულების დასამუშავებლად. ისინი იჯარით აძლევდნენ მთელს თავის მამულს ვინმე ერთ კაცს (უეჭველად ინგლისელს), ეს კაცი ანაწილებდა მიწას და აძლევდა რამდენიმე პირს, რომელნიც თავის მხრივ კიდევ ჰყოფდნენ თავის ნაწილებს და არიგებდნენ მესამე,მეოთხე და სხ. ამრიგად მიწას ამუშავებდა მხოლოდ მეექვსე ან მეშვიდე პირი,მდგარი ამ კიბეზედ და,რასაკვირველია, 6—7 ტყავი სძვრებოდა ყველა ამ ბატონთა დასაკმაყოფილებლად.

ეს ორი პარტია—„ჰომრულისა“ და „საადგილ-მამულო ლიგა“, რომელსაც სათავეში ედგა მიხეილ დევიტი, 1877 წელს შეერთდნენ ერთი მიზნისთვის და აქედან იწყება ჰომრულის საძირკვლიანი სიმაგრე.

ჰომრულმა ორი უმთავრესი მუხლი შეიმუშავა ინგლისისაგან მოსათხოვნად: 1) ლენდლორდობის მოსპობა, (მსხვილი მიწად-მფლობელობისა) და 2) ეროვნული ავტონომია. მაგრამ ეს მოთხოვნილება დაამყარა უმთავრესად პარლამენტალურ ბრძოლაზედ. უნდა გაიხსენოთ, რომ ირლანდიელთა ცალკე პარლამენტის მოსპობის შემდეგ, ინგლისის პარლამენტში მათ დათმობილი ჰქონდათ 103 ადგილი.

იმ დროინდელი ბრძანებელი ინგლისისა—გლადსტონი მიხვდა რომ ბრძოლით და „ინგლისიფიკაციით“ არამთუ არა მშვიდდება ირლანდია, პირიქით იწვევდა გაუთავებელ შფოთს და აუარებელ ხარჯს და პირდაპირ აღიარა ჰომრულის საჭიროება, როცა მისმა აგრარულმა რეფორმებმაც ვერავინ დააკმაყოფილეს.

1886 წელს გლადსტონი დამარცხდა პარლამენტში, რადგან არისტოკრატული ნაწილი ლიბერალებისა, კონსერვატორები და სხ. არ ვაჰყვნენ ჰომრულის მომხრე ლიბერალებს და ირლანდიის წარმომადგენელთ.

დროებით,1892 წლამდე, გამარჯვებულნი იყვნენ კონსერვატორები და უნიონისტები,სოლსბერის წინამძღოლობით. მაგრამ 1892 წ. გაიმარჯვეს არჩევნებზედ ისევ ლიბერალებმა და გლადსტონმა ხელახლა წამოაყენა საკითხი ჰომრულისა.

იგი ასაბუთებდა ამ რეფორმას იმით, რომ ავტონომიური ირლანდია არასოდეს სეპარატისტულ მისწრაფებათ არ იქონიებს, რაკი მისი ინტერესები მჭირდოდ არიან დაკავშირებულნი ინგლისის ინტერესებთან; მაშინ როდესაც ძალ-დატანება და სასტიკი ზომები სთესავენ მარტო სიმძულვარეს და სახელმწიფოს უჩენენ შინაურ მტრებს და ამით გარეშე მტრებსაც აძლიერებენ. როგორც საუკეთესო დამამტკიცებელი მაგალითი თავისი სიტყვებისა, გლადსტონს მოჰყავდა კანადის ავტონომია,რომელმაც დაამტკიცა გულითადი ერთობა თავის მეტროპოლიასთან. ამ ჟამად, პარლამენტში უმრავლესობა მიემხრო ჰომრულს, მაგრამ ლორდების პალატამ უარჰყო იგი, მეფემ ვერ გაბედა ლორდების წინააღმდეგ წასვლა და გლადსტონმა სრულებით დაანება თავი პოლიტიკურ მოქმედებას.

მესამედ ჰომრულის საკითხი აღიძრა პარლამენტში ეხლა 1912 წ. და უმრავლესობამ იგი მიიღო, როგორც საუკეთესო საშუალება სახელმწიფოს გამაგრებისა.

მართალია, ლორდთა პალატამ ეხლაც უარჰყო იგი, მაგრამ საზოგადო აზრი ეხლა მთლად ჰომრულის მომხრეა, სახელმწიფოებრივმა გამოც-

დილებამ კანადაში, სამხრეთ აფრიკაში და ავსტრალიაში ნათლად დაუმტკიცა ინგლისს, რომ ავტონომიურ მართვა-გამგეობას არამთუ საფრთხე არა მოაქვს რა, პირიქით უფრო მეტიდროდ აკავშირებს ერთმანეთს სახელმწიფოს ნაწილებს და ჰქმნის საერთო სამშობლოს სიმძლავრეს.

ადვილი შესაძლებელია, ამ წელსვე ჰომრულმა არ მიიღოს კანონის სახე, რადგან ლორდებს შეუძლიანთ საბოლოოდ უარჰყონ იგი, მაგრამ 1911 წლის კანონით (ქვედა პალატის „ვეტოს“ შესახებ) ინგლისის ერს ძალა ეძლევა გაბათილოს ლორდების სურვილი და მაშინ აუცილებელია, 1914 წელს ჰომრული კანონად იქცევა და ასი წლის ბრძოლა ირლანდიელთა სრულის გამარჯვებით დამთავრდება, თუ რაიმე ახალი დაბრკოლებანი არ გამოუჩნდა ამ სახელმწიფოებრივ და იმავე დროს სამართლიან გარდაწყვეტილებას. თუ როგორნი შეიძლება იყვნენ ეს დაბრკოლებანი, ამას შემდეგ წერილში განვიხილავთ, როცა უფრო დაწვრილებით შევეხებით ჰომრულის ისტორიას და გამოვნახავთ მის მსგავსებას და სხვადასხვაობას ჩვენს საკუთარ ისტორიაში.

რ. ბ.

„ხატისოვკა“

სადგურ ნავთლუღის გადაღმა იშლება ვეებერთელა ველი, რომელიც ქალაქის საკუთრებას შეადგენს. 1908 წ. თანახმად ნავთლუღის სადგურზე წვრილ მოსამსახურეთა თხოვნისა, ქ.-თვითმმართველობის განკარგულებით ერთი ნაწილი ამ მამულისა დაგეგმილი იყო საახალშენოდ. მთელ საახალშენოში, როგორც გეგმიდანა სჩანს, სულ 400 ნაჭერია იჯარით გასაცემი, თითო ნაჭერში 150—200 ოთხ. საჟ. გარდა ამისა, სხვადასხვა დაწესებულებებისათვის და ქუჩებისათვის ადგილები უკვე გამოყოფილია.— იმ თავიდან, ამ საახალშენო ადგილის მოიჯარადრეებად უმთავრესად ზემორე მოყვანილი რკინის გზის მოსამსახურეები ჰყავდა მხედველობაში ქ.-თვითმმართველობას და ამიტომ თვით ახალშენისათვის, როგორც გეგმაზეა აღნიშნული, უწოდებიათ: „Желѣзно-дорожный поселокъ“, მაგრამ მაშინ იმდენი მსურველებიც არ აღმოჩენილან და ბევრი ნაჭერი დარჩენილა გაუცემელი, ხოლო ამ ბოლო ხანებში, როდესაც ამ საახალშენოს ერთ გვერდზე ქალაქის ახალი სასაკლაო მთავრდება, მეორეზე— კახეთის რკინის გზის სადგური აპირობს თავის წამოყოფას და მესამეზე კიდევ, რაც უმთავრესია, საუნივერსიტეტო ადგილი მდებარეობს, მსურველებიც მრავალი გამოჩნდა.

ჯერ-ჯერობით არავინ იცის, რასაკვირველია, რომელ ეროვნების რიცხვი იქმნება უმრავლესად ამ ახალშენში, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ ახალშენში სომხების საგრძნობი რიცხვი დასახლდება, რაც იქიდანა სჩანს, რომ გრიგორიანების ეკლესიისათვის ცენტრალური ალაგიც კია გეგმით გამოყოფილი. მაგრამ ამასაც არ კმარობენ. ამას წინად „თბილისის ფურცელმა“ გვამცნო, რომ ამ ახალშენს უთუოდ „ხატისოვკა“ დაერქმევა, რადგანაც თხოვნებში მთხოვნელები ამ ახალშენს „ხატისოვკად“ იხსენიებენო. საქმე ის არის, რომ მთხოვნელებს საიდგანღაც აწოდებენ დაბეჭდილ თხოვნებს, რომელშიაც ეს ალაგი „ხატისოვკად“ არის წოდებული, ამიტომ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს მთხოვნელნი ამ სახელწოდებით ვითომდა იმიტომ იხსენიებდნენ ამ ახალშენს, რომ მომავალ მოიჯარადრეებს სურვილი ჰქონდეთ მაინცა და მაიც „ხატისოვკად“ მონათლონ გეგმით უკვე სახელწოდებული „Жел.-дор. поселокъ“ ასეა თუ ისე, მაინც სასურველია ჩვენებმაც მიაქციონ ყურადღება ამ მომავალ ახალშენს და სანამ ჯერ კიდევ სულ არ გაცემულა ნაჭრები, შეიძინონ იჯარით. საიჯარო გადასახადი 5—10—15 კ. საჟ., ნაჭერის ადგილმდებარეობის მიხედვით. (სხვა საჭირო ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ „კლდის“ რედაქციაში).

S.

P. S. ხსენებულ ამბავს 5 წლის ისტორია აქვს. აი როგორ დაუხვდა მას 1908 წ. ჟურნალი „ჩვენი კვალი“ № 23.

„დასასრულ ერთი სასიამოვნო ამბავი. ქალაქ თბილისის ხმოსანი ხატისოვი დაგვირგვინებულა, მირონცხებულა, კურთხეულა მეფედ ნავთლუღისა. თუმცა ჯერჯერობით მას 400 ოჯახი ჰყავს ქვეშეგრდომად, მაგრამ ჩვენს დროში თუ ვისმე ეს ოთხასი მაინც შერჩა ერთგულ ეშად, ესეც დიდი რამ არის. ხატისოვს კი, როგორც ვიცით, ბედი სწყალობს; მთელს მის სახელმწიფოს მისავე სახელი დარქმევია, რათა ყოველთვის თვალწინ ედგას ერს მისი ხატება, მისი გვირგვინოსნობა, მისი

ნაკურთხი კვერთხი. საიდან მოიპოვა ხატისოვმა ბორფერი, ამასაც მოგახსენებთ:

ქალაქ თბილისის გამგეობამ რკინის გზის მოსამსახურე 400 კაცს მისცა იჯარით დასასახლებელი მიწები ნავთლუღის ახლოს. მომავალ სოფელს, გადაუწყვეტიათ, ,,ხატისოვკა'' უწოდონ.

დიახ, დღეს ჯვაროსანთა ომია ,,მონგოლთა'' წინააღმდეგ, საერთო ამხედრება და აი, ხატისოვსაც უხელთნია დრო უშოკია კვირგვინი. ის ბოლოდან შეშოსეია თბილისს და იმედია როცა თავში ავა, თბილისსაც სახელი გამოეცვლება. დიახ, ბრწყინვალე მომავალი მოელის ჩვენს დედა ქალაქს!"

რუსების გადმოსახლება ამიერ-კავკასიაში

ამ სათაურით „**მთავრობის მოამბის**" მე-265 №-ში 1912 წ. მოთავსებული არის ვრცელი შენიშვნა, რომლიდანაც აქ მოვიყვან უფრო საყურადღებო ცნობებს:

,,კავკასიაში რუსების გადმოსახლების საქმეს ამნაირად უძღვება გადასახლების მთავარი გამგეობა: **პირველ ყოვლისა,** ბოტანიკურად და სტატისტიკურად იკვლევს იმ მიწებს, რომლებიც რუსების გადმოსასახლებლად არის დანიშნული. მას შემდეგ ჰყოფს იმ მიწებს ნაკრებად გადმოსასახლებელ რუსების ოჯახებისათვის და გაჰყავს იქითკენ გზები, და ბოლოს ასახლებს ზედ რუსებს, აძლევს მათ ყოველგვარ სესხს, რაც ამ შემთხვევებისათვის განსაკუთრებული კანონით არის დადგენილი, ე. ი. სახლკარის ასაშენებელს, საერთო სასარგებლო საქმეების მოსაწყობს და გზის ხარჯის ასანაზღაურებელს.

,,რუსების კავკასიაში გადმოსახლება დიდი ხანია დაწყებულია, ხოლო წარსული საუკუნის ბოლომდე უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა: წელიწადში, სულ ბევრი, რამდენიმე ოჯახობას ასახლებდა ხოლმე ადმინისტრაცია. მხოლოდ 1899 წლიდან კავკასიისთვისაც შემოიღეს ციმბირში მოქმედი 13 ივლისის 1988 წლის კანონი სოფლელების და მოქალაქეების გადასახლებისათვის დადგენილი და სწორედ ამ დროიდან იწყება რუსების ამიერ კავკასიაში გადმოსასახლებლად მიწების დამზადება, ჯერ მიწის მზომელებისაგან, და შემდეგ კი 1901 წლიდან საგანგებოდ დაარსებულის მიწების მიმზომი რაზმისაგან.

,,1905 წლიდან რუსების გადმოსახლების ორგანიზაციამ საგნად დაისახა თან-და-თან გაამრავლოს რუსების რიცხვი ამიერ-კავკასიაში.

,,ბოლო წლებში სისტემატიურად შეისწავლეს სახელმწიფო თავისუფალ მიწების რაოდენობა კავკასიაში და აღმოჩნდა, რომ დასამუშავებლად გამოსადეგი და აგრეთვე გამოუსადეგარი სახელმწიფო მიწები კავკასიაში არის სულ $3^1/_2$ მილიონამდე დესეტინა. მათ შორის:

ა) აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში — $1^1/_2$ მილიონი დესეტინა.

ბ) ჩერნომორის გუბერნიაში — 400,000 დესეტინა.

გ) ამიერ-კავკასიის ხუთს გუბერნიაში საბალახოები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ადგილობრივ მკვიდრ ეძლევათ ყოველ-წლივ საქონლის საბალახოთ, თუმცა ეს მიწები გამოდგება საქონლის კულტურულად მოშენებისთვისაც 735,000 დესეტინა.

დ) ტყეები მთებსა და ბარში, რომლებიც შეიძლება ზოგან გამოყენებულ იქნას სასოფლო მეურნეობისათვის — 762,000 დესეტინა.

ამ მიწებიდან ჯერ უნდა დაესახლებინათ მულანისა და მელის ველები, სპარსეთის საზღვარზე, და შემდეგ **შავი ზღვის ნაპირი ნოვოროსიისკიდან ოსმალეთის საზღვრამდე.**

1911 წლის დამდეგამდე დასახლებულ იქნა კავკასიაში სულ 34,548 ნაკერი მიწა, ხოლო თვით 1911 წელს კი გადმოსახლებულ იქნა 5754 სული მამაკაცი. **სულ დღემდე გადმოსახლებულია 68,000-მდე სული, ორთავე სქესისა.**

საერთოდ, ჯერ-ჯერობით დასახლებულნი შეადგენენ 290 სოფელს. მათ შორის განჯის, ბაქოს და დაღესტნის გუბერნიებში — 93 სოფელია, დასავლეთს ამიერ-კავკასიაში, შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა დ, ყუბანის და თერგის ოლქებში — 197 სოფელი.

ამა 1913 წლის განმავლობაში რუსების გადმოსასახლებლად მიწების დამზადებას შეუდგებიან შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა დ და მულანლოს ველში.

სტატისტიკურად გამოკვლეული უკვე არის მელის, გეანის, შირაქის (ნუხის) და შირვანის ველები.

ბ ო ტ ა ნ ი კ უ რ ა დ შ ე ს წ ა ვ ლ ი ლ ი ა ბ ა თ უ მ ი ს ო ლ ქ ი.

1912 წლის შემოდგომაზე გამომკვლეველთა

რაზმი გაემართა მდინარე ბზიფის მიდამოებში, სოჭის ოლქში, შავი ზღვის გუბერნიაში.

„გზების კეთებას წრეულს, როგორც წინა წლებშიაც განაგრძობენ შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა დ, სულ უნდა გაიყვანონ ამ 1913 წ. 25,9 ვერსტი ახალი გზა და შეაკეთონ 173,75 ვერსტი წინად გაკეთებული გზისა. გამოიკვლევენ გასაკეთებლად 136,6 ვერ. გზას.

„საექიმო და სანიტარულ შემწეობის აღმოსაჩენად გადმოსახლებულთა და გადმოსასახლებელთათვის არსებობს წამლების მთავარი საწყობი თბილისში, რომელსაცა აქვს სხვადასხვა ადგილას ოთხი დიდი განყოფილება, რომელთაგან თითოეული წამლებს აწვდის ოცდა ცხრა მცირე განყოფილებას სხვადასხვა ადგილას.

მაგმაძე.

სოფ. ძიმითი (კორესპონდენტია).

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ეს ჩემი წერილი დაბეჭდოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალ „კლდეში“.

სოფელი ძიმითი ოზურგეთის მაზრაშია. ამ სოფელში რამდენი წელიწადია არსებობს ერთ კლასიანი, იგივე ორ კომპლექტოვანი სასწავლებელი 200-მდე მოსწავლეთი. სკოლის მზრუნველის ბ. ს. პატეიშვილის და მეზობლების თაოსნობით აღიძრა თხოვნა სკოლის გაფართოებაზე, მის ორკლასიანად ქცევაზე. სკოლის უფროსმა თხოვნა შეიწყნარა, გამოგზანა მასწავლებლები; ბძანა შენობა ააგეთ და დავამტკიცებთ ორ კლასიანათაო.

რამდენიმე საზოგადოება კიდეც შეიკრიბა, ძმურად მოჰკიდეს ხელი საქმეს და შეუდგნენ შენობის აგებას, დაადგინეს „პრიგავორი“, აირჩიეს ვექილები და მიანდეს სკოლის აშენება, მაგრამ საუბედუროდ ამ აღნიშნულ სკოლას გაუჩნდნენ მტრები შინაური და გარეული და არა თუ აშენება და გაკეთება, ძველი სკოლის დანგრევაც მოინდომეს. შეიქნა ერთი ალიაქოთი. ადგილობრივი მამასახლისი ვერას გახდა და მოწვეული იქმნა ბოქაული. ბოქაულმა ხალხის დასამშვიდებლად ყოველივე ზომა მიიღო. დაინიშნა კომისია მცოდნე პირებისაგან სკოლის ადგილის შესამოწმებლად. სხვადასხვა სოფლიდან კომისიამ სკოლისათვის ძველი ადგილი აარჩია და შეუდგნენ სკოლის აშენებას. საძირკველი რომ ამოიყვანეს ერთ ადლზე, სკოლის ხელის შემშლელებმა მიმართეს დასმენით მაზრიუფროსს, რომ სკოლას უპლანოთ აშენებენო. მაზრის უფროსმა კეთილ ინება და გამოგზავნა თავის თანაშემწე წესიერების აღსადგენად. მუშაობა განახლდა. ქვედა სართული ამოიყვანეს, ძველი სკოლა დაშალეს და შეუდგნენ ზედა სართულს.

კიდევ ასტყდნენ სკოლის მტრები, რომ სკოლას უპლანოთ აშენებენო. შეიქმნა დასმენა ახლა სკოლის მზრუნველთან მოიჯარადრე და ოსტატებისა. მობრძანდა სკოლის უფროსი და ინჟინერიც. სკოლის უფროსმა და ინჟინერმა შენობა მოიწონეს და მუშაობის ნებაც მისცეს. ეს ამბავი აგერ 3 წელიწადია რაც გრძელდება. ხელის შემშლელნი რომ არა ყოფილიყვნენ, ერთ წელიწადში იქნებოდა მზად შენობა. ეხლა თითქმის სახურავში არის მოყვანილი და მასწავლებლები და მოსწავლეები აქეთ-იქით ნაქირავებ სახლებში ეფარებიან, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯს. საჭიროა შენობის დაჩქარება. კარგი არის რაიმე დახმარებას აღმოუჩენდნენ საზოგადოება და ინტელეგენკია საჭიროა აგრეთვე ალაგმვა ხელის შემშლელთა. და მადლობის ღირსია ბ. ს. პატეიშვილი, მოიჯარადრენი ოსტატები, რომელნიც შენობას აჩქარებენ და ძლიერ ერდგულად მუშაობენ. ვინც ზედ მეტი ხარჯი მისცა სოფელს, ის სოფლელმა უკეთ იცის.

პ. გოგელია.

შეცდომების გასწორება

წერილში: „იოანე მტბევარი“ წარსულ მე-6-ე №-ში შეგვეპარა რამდენიმე თვალსაჩინო შეცდომა: მინჩის მაგიერ, უნდა იკითხებოდეს **მინჩხი**. გვ 7 სტ. 2 (918)-ის მაგიერ უნდა იყვეს (+ **918**); იქვე სტ. 4 არის „მტბევარის სახელზე“. უნდა იყვეს **მტბევარის დროს** გვ. 8 სტ. 11 ქვევიდან არის 998—988. უნდა იყვეს **978—988**.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.